ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №10.28/20/063

ქ. თბილისი 26 ივლისი 2013 წ.

ერთის მხრივ **ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა,** წარმოდგენილი ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის **გამგებლის ლერი დემეტრაშვილის** სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს "არქსტუდიო ვ"**, წარმოდგენილი მისი **დირექტორის ვალერი ცხოვრებაძის** სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე: **შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ღრმაღელის დასახ. კორპუსი №16-ის მიმდებარედ ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრის დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის შექმნის მომსახურების შესყიდვაზე,** რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება.

1.ხელშეკრულების საგანი, შესყიდვის საშუალება

1.1. **ხელშეკრულების საგანი** - ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში ღრმაღელის დასახ. კორპუსი №16-ის მიმდებარედ ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის (ექსტერიერი) მისი გარე პერიმეტრის დიზაინის და სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის საკუთრებაში გადაცემა.
1.2. შესყიდვის საშუალება - **კონკურსი**
1.3. საკონკურსო განცხადების ნომერი: **N844**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **24 950,0 (ოცდაოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათი)** ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღე.
3.2 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. N1გ, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ასევე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს.
4.2შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია ექსპერტიზისათვის წარუდგინოს მის მიერ შერჩეულ ექსპერტს (ექსპერტთა ჯგუფს);
4.3 მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფს) მიერ საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).
4.4 ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოების ღირებულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ:

გიორგი დარჩია - ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი
დავით კვინტრაძე - ინფრასტრუქტურის განყოფილების მთ. სპეციალისტი

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელედება 2013 წლის ნაძალადევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში ღრმაღელის დასახ. კორპუსი №16-ის მიმდებარედ ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის (ექსტერიერის) მისი გარე პერიმეტრების დიზაინის და სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის (პროექტი და ხარჯთაღრიცხვა) და აღნიშნულ (პროექტზე) ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

7.4.მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობას საკუთრებაში გადასცეს გამგეობის ესკიზი (პროექტი) და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებები;

7.4.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

8. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.

8.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა)თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გამოყენებული სამართალი

11.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

12.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს - 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი

პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა
მის: თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1გ
საიდენტიფიკაციო კოდი: 200279527
სს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფ–ლი
კოდი LBRTGE22
ა/ა GE95LB0125152101627000
ტელ: +995 32 238 19 80

გამგებელი _____ ლ. დემეტრაშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „არქსტუდიო ვ"
მის: თბილისი, გლდანის 1მ/რ, კ.21, ბ.66
საიდენტიფიკაციო კოდი: 400093206
სს "პროკრედიტ ბანკი"
კოდი MIBGGE22
ა/ა GE96PC 0043 6001 0002 9773
ტელ: 574-934-560

დირექტორი _____ ვ. ცხოვრებაძე